

საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

ეკონომიკური თეორიის მიხედვით საგადასახადო სისტემის უმთავრესი დანიშნულება-მოვალეობების გამომხატველები არიან მისი შემდეგი ძირითადი ფუნქციები: 1) ფისკალური (ანუ სახელმწიფო ხაზინის შევსების უზრუნველყოფა), 2) ეკონომიკური (ანუ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება და ხელის შეწყობა) და 3) მარეგულირებელი (ანუ შემოსავლების რაციონალური გადანაწილება ქვეყანაში მოსახლეობის ქონებრივი პოლარიზაციის შემცირებისა და სხვადასხვა ფენის ცხოვრების დონეების გარკვეული გამოთანაბრების მიზნით). ამასთან ერთად საჭიროა, რათა საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბება-გატარებისას სრულად იქნეს დაცული ეკონომიკური მეცნიერების მიერ რეკომენდებული დაბეგვრის ძირითადი პრინციპები: 1) ეფექტიანობა, 2) სამართლიანობა, 3) ადმინისტრირების სიმარტივე, 4) დაბეგვრის ერთჯერადობა, 5) მოქნილობა, 6) პოლიტიკური პასუხისმგებლობა, 7) ბეგრის გადახდის აუცილებლობა. სამწუხაროდ, საქართველოს ბოლოდროინდელი საგადასახადო სისტემა გამოირჩევა სამართლიანობის დაბალი ხარისხითა და არაეფექტურობით. იგი მორგებულია მოსახლეობის მცირერიცხოვანი, მაღალშემოსავლიანი, ელიტარული ნაწილისა და მსხვილი, მონოპოლისტური ბიზნესის ინტერესებზე და ფაქტობრივად იგნორირებულია მრავალრიცხოვანი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნები. საქართველოში ამჟამად მოქმედი საგადასახადო სისტემის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვეყნის მთავრობას მთელი ყურადღება გადატანილი აქვს გადასახადების ფისკალური ფუნქციის შესრულებაზე, ისიც მცირეშემოსავლიანი, ღარიბი მოსახლეობის ხარჯზე, და ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომიკურ და მარეგულირებელ ფუნქციებს. ამასთან ერთად დარღვეულია საგადასახადო სამართლიანობის, ეფექტიანობის, პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და სხვა პრინციპები. ქვეყნით შევეცდებით ფაქტობრივი სტატისტიკური მონაცემების დინამიკის განხილვა-გაანალიზების საფუძველზე დავასაბუთოთ აღნიშნული მოსაზრებების მართებულობა. დავიწყოთ ქვეყანაში აკრეფილი გა-

თამაზ ბაქრაძე
სტუ-ს სრული პროფესორი,
ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

დასახადების მთლიან მოცულობაში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წონების თანაფარდობის განხილვით. როგორც ვიცით, პირდაპირი ეწოდება იმ გადასახადებს, რომლებსაც ფარავენ უშუალოდ მეწარმეები (იურიდიული პირები) ანუ დამსაქმებლები. მათ მიეკუთვნებიან მოგების, საშემოსავლო და ქონების გადასახადები. არაპირდაპირ ანუ ირიბ გადასახადებს კი მიეკუთვნებიან დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზისა და საბაჟო გადასახადები, რომლებსაც იხდიან მყიდველები ანუ მომხმარებლები. აღმოჩნდა, რომ 2008 წლის ფაქტობრივი მონაცემებით, არაპირდაპირი გადასახადების წილი ქვეყნის გადასახადების მთლიან მოცულობაში შეადგენდა 64 პროცენტს*, მათ შორის მხოლოდ დამატებული ღირებულების გადასახადის წილი იყო 51 პროცენტი, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილმა კი შეადგინა მხოლოდ 36 პროცენტი. მაშასადამე, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილებს შორის თანაფარდობამ შეადგინა 0,56 ($36/64=0,56$). ანუ არაპირდაპირი გადასახადების მოცულობამ თითქმის ორჯერ გადააჭარბა პირდაპირი გადასახადების მოცულობას. ეს მაშინ, როდესაც 1995 წლის ფაქტობრივი მონაცემებით, ქვეყნის გადასახადების საერთო მოცულობაში პირდაპირი გადასახადების წილი შეადგენდა 49,5 პროცენტს, ხოლო არაპირდაპირი გადასახადების წილი კი – 50,5 პროცენტს. ანუ თანაფარდობა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილებს შორის იყო გაცილებით უფრო მაღალი და უტოლდებოდა 0,98-ს ($49,5/50,5=0,98$). როგორც ვხედავთ, უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩამოყალიბებულია პირდაპირი გადასახადების წილის მკვეთრი შემცირებისა და, შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების წილის მნიშ-

* რ. ოთინაშვილი. საქართველოს ეკონომიკა. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2010 წ. გვ. 363.

ენგლოვანი ზრდის ტენდენცია. ეს კი ობიექტურად მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასა და ცხოვრების დონის თანდათანობით დაცემაზე. საქართველოში არაპირდაპირი გადასახადების წილის პერმანენტული და სწრაფი ზრდა ნიშნავს ქვეყანაში მოქმედი სამეწარმეო კანონმდებლობის არასრულყოფილობის, სახალხო მეურნეობის მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირების დაბალი დონის, ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მასშტაბებით არსებობისა და გადასახადების ეკონომიკური ფუნქციის შეუსრულებლობის პირდაპირ მტკიცებულებას. არაპირდაპირი გადასახადების წილის გადიდებისას სულ უფრო მძიმდება მომხმარებლების ანუ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი და პირიქით, რაც უფრო მაღალია პირდაპირი გადასახადების წილი არაპირდაპირი გადასახადების წილთან შედარებით, ანუ რაც უფრო მაღალია აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის თანაფარდობა, მით უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონე. ამაზე მეტყველებს თანაფარდობა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის მაღალგანვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნული თანაფარდობა შეადგენს 1,7-ს, შვეიცარიაში – 2-ს, შვედეთში 1,4-ს** და ა. შ., რაც დაახლოებით 3-ჯერ მეტია საქართველოში არსებული იმავე მაჩვენებლის სიდიდესთან შედარებით. ამასთან, გადასახადების საერთო მოცულობაში პირდაპირი გადასახადების წილი მსოფლიოს მოწინავე, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ხასიათდებიან არა კლების, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, არამედ ზრდის ტენდენციით. თუ საქართველოში გადასახადების საერთო მოცულობაში არაპირდაპირი გადასახადების 64%-იან წილს დავუმატებთ საშემოსავლო გადასახადების წილსაც, რომელიც, ფაქტობრივად, ფიზიკური პირების ხელფასიდან იფარება, მაშინ აღმოჩნდება, რომ ქვეყნის გადასახადების მთლიანი მოცულობის 80-85%-ს ფარავენ ფიზიკური პირები და მხოლოდ დარჩენილი 15-20% იფარება უშუალოდ იურიდიული პირების მიერ. ეს ობიექტურად ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში არ ფუნქციონირებს საწარმოთა დიდი ნაწილი, ანდა ადგილი აქვს მოგების ტოტალურ დამალვას იურიდიული პირების მიერ, რაც სასწრაფო გამოსწორებას საჭიროებს.

დაბეგვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – „სამართლიანობის“ – დარღვე-

ვად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღეისათვის საქართველოს საგადასახადო სისტემაში, ფაქტობრივად, ყველა გადასახადი პროპორციული ხასიათისაა და ერთი და იგივე ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთებით იხდიან გადასახადებს როგორც მდიდრები, ანუ მაღალშემოსავლიანი, ისე ღარიბები, ანუ მცირეშემოსავლიანი ფიზიკური თუ იურიდიული პირები. ასეთ ვითარებაში მძიმდება დაბალ და საშუალო შემოსავლიანი პირების საგადასახადო ტვირთი და რთულდება გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის შესრულება ანუ შემოსავლების რაციონალური გადანაწილება, ქონებრივი პოლარიზაციის შემცირება და საშუალო ფენის ჩამოყალიბება ქვეყანაში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს პარლამენტმა უკვე რამდენჯერმე შეიტანა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, მაგრამ, როგორც წესი, ყველა მათგანი იყო არაადეკვატური ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეალობის მიმართ. სამწუხაროდ, სიღარიბის ზღვარზე და ზღვარსქვემოთ მყოფი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვის ნაცვლად და მოსახლეობის ქონებრივი პოლარიზაციის შემცირებისა და საშუალო ფენის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მაგივრად ყველაფერი კეთდებოდა ძირითადად სახელმწიფო ჩინოვნიკებისაგან შემდგარი ელიტარული საზოგადოებისა და მაღალშემოსავლიანი პირების საამებლად და მონოპოლიზაციის წასახალისებლად. მაგალითად, 2004 წლის 22 დეკემბერს მიიღეს და 2005 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა წინა 1997 წლის საგადასახადო კოდექსი და შემოიტანა, ჩვენი აზრით, რიგი გაუმართლებელი სიახლეებისა საგადასახადო სისტემაში. ამ მხრივ ყველაზე თვალში საცემი განხილვად პროგრესული ხასიათის საშემოსავლო გადასახადის გადაკეთება პროპორციულ გადასახადად და ყველა ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლის დაბეგვრა ფიქსირებული 12%-იანი საგადასახადო განაკვეთით. ამით უგულებელყოფილ იქნა პროგრესული გადასახადებისათვის დამახასიათებელი რობინ ჰუდის კეთილშობილური პრინციპი და მოსახლეობის მდიდარ, მაღალშემოსავლიან ფენებს ადრინდელი 20, 17 და 15%-იანი საგადასახადო სარგოები შეუმცირდათ 12%-მდე, ხოლო მოსახლეობის ღარიბ, მცირეშემოსავლიან მასებს კი არსებული 12%-იანი საგადასახადო განაკვეთი შეუნარჩუნდათ იმავე დონეზე. ამ უსამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებ-

** Жилцов Е. Экономика общественного сектора и некоммерческих организаций. М., изд. «Прогресс», 1999, стр. 359.

და მოსახლეობის ქონებრივ პოლარიზაციას, მხარი დაუჭირა სახელმწიფო ჩინოვნიკებმა და პარლამენტარების დიდმა უმრავლესობამ, რომლებმაც ამით კიდევ უფრო გაიუმჯობესეს უიმისოდაც ძალზე მაღალი თავიანთი ცხოვრების დონე ისე, რომ არც კი გახსენებით მრავალრიცხოვანი დაბალშემოსავლიანი თანამოქალაქების ბედი. თავიდანვე ცხადი იყო, რომ საშემოსავლო გადასახადის ამ წესს არ შეიძლებოდა დიდ ხანს ეარსება, რადგანაც დარღვეული იყო გადასახადების არა მარტო ეკონომიკური და მარეგულირებელი ფუნქციები, არამედ დაირღვა ფისკალური ფუნქცია, რადგანაც ასეთ დაბალ საყოველთაო საგადასახადო განაკვეთს არ შეიძლება არ მოჰყოლოდა საშემოსავლო გადასახადებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შემავალი თანხების შემცირება. ამიტომ 2007 წლის 7 დეკემბრს პარლამენტმა კვლავ შეცვალა საგადასახადო კოდექსი, გააუქმა 20%-იანი საგადასახადო სარგოს მქონე სოციალური გადასახადი, მიუერთა იგი საშემოსავლო გადასახადს და გაზარდა მისი საგადასახადო განაკვეთი 12-დან 25%-მდე. ამ ვაიგადაწყვეტილებით იურიდიული პირების ანუ დამქირავებლების გადასახდელი სოციალური გადასახადი გადატანილ იქნა ფიზიკური პირების ანუ დაქირავებულების მხრებზე, რის შედეგადაც მცირე შემოსავლიანი ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა ორჯერ და მეტად და შესაბამისად მეკეთრად დამძიმდა მათი საგადასახადო ტვირთი. ჩვენი ვარაუდით, მიხვდა რა ამ საგადასახადო რეფორმის ალოგიკურობასა და უსამართლობას, ხელისუფლებამ, მოსახლეობის სოციალური აღეგულების თავიდან აცილების მიზნით, დაავალა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს კი ურჩია, რათა თავიანთი პერსონალისათვის მოემატებინათ ხელფასი ისეთნაირად, რომ საშემოსავლო გადასახადის გადიდების გამო მათი ადრინდელი, საბაზო ხელფასების მოცულობა არ შემცირებულიყო. ამასთან ერთად მთავრობას დაევალა 2008 წლის 15 მაისამდე წარმოედგინა 5 წლის განმავლობაში 25%-იანი საგადასახადო განაკვეთის 15%-მდე ეტაპობრივი შემცირების წინადადებები. ამის შემდეგ 2010 წლის 17 სექტემბერს პარლამენტმა კვლავ შეიტანა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მისი ლიბერალიზაციის მიზნით. კერძოდ, მაგალითად, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები განთავისუფლებულ იქნენ საშემოსავლო გადასახადისაგან, ხოლო

მცირე ბიზნესის საწარმოები განთავისუფლდნენ დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. მაგრამ ფაქტობრივად ამ სიახლემ არსებითად ვერ გააუმჯობესა საგადასახადო სამართლიანობის ხარისხი ქვეყანაში. ჯერ ერთი, რა ქნან იმ მრავალრიცხოვანმა მცირეშემოსავლიანმა ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც საქმიანობენ არა მიკრობიზნესში, არამედ სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებასა და მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესში? მეორეც, გაუგებარია, რატომ უნდა განთავისუფლდნენ საშემოსავლო გადასახადისაგან მიკრობიზნესის ის წარმომადგენლები, რომლებსაც მაღალი შემოსავალი აქვთ? რატომ ვთვლით, რომ მიკრობიზნესის დამფუძნებელი ფიზიკური პირები ყოველთვის მცირეშემოსავლიანები უნდა იყვნენ? ხომ შეიძლება, რომ ზოგიერთი ფიზიკური პირისთვის მიკრობიზნესი დამატებითი შემოსავლის წყარო იყოს? უფრო მარტივი და სამართლიანი არ იქნებოდა, რომ აღგვედგინა პროგრესული ხასიათის საშემოსავლო გადასახადი? გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში განხორციელებული საშემოსავლო გადასახადის ცვლილებები უკან გადადგმულ ნაბიჯებს წარმოადგენენ მის ადრინდელ, 1997 წლის საგადასახადო კოდექსის მიხედვით არსებულ ვარიანტთან შედარებით, რომლის დროსაც იგი შედარებით უფრო მსუბუქი, სამართლიანი და პროგრესული ხასიათისა გახლდათ (იხ. ცხრ. 1).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებული იყო აგრეთვე საგადასახადო ბაზიდან გამოსარიცხი დაუბეგრავი მინიმუმიც 9 ლარის ოდენობით, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე მცირე თანხა იყო და ჯობდა იგი ყოფილიყო საარსებო მინიმუმის ტოლი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელ საგადასახადო სისტემაში დაუბეგრავი მინიმუმი საერთოდ დაიწვებულია, მაშინ კიდევ უფრო ნათელი ხდება, რომ სამართლიანობის თვალსაზრისით ძველი, 1997 წლის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადი უფრო უკეთესი გახლდათ, ამჟამად მოქმედთან შედარებით. ამაზე მეტყველებს საერთაშორისო პრაქტიკა და მსოფლიო გამოცდილება ამ სფეროში. მსოფლიოს ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში საშემოსავლო გადასახადი პროგრესული ხასიათისაა და გადასახადის მინიმალური და მაქსიმალური სარგოების სიდიდეებს შორის ინტერვალები საკმაოდ ფართო დიაპაზონებით ხასიათდებიან. მაგალითად, ამერიკის შეერთე-

ცხრილი 1.

**საქართველოს საშემოსავლო გადასახადის საბაზისადო განაკვეთებისა
და შესაბამისი შემოსავლების მოცულობების ინტერვალები
(საქართველოს 1997 წლის საბაზისადო კოდექსის მიხედვით)**

დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლის პერიოდში	გადასახადის განაკვეთი
1. 200 ლარამდე	დასაბეგრი შემოსავლის 12%
2. 201-დან 350 ლარამდე	24 ლარი + 200 ლარს ზევით შემოსავლის 15%
3. 351-დან 600 ლარამდე	46,5 ლარი + 350 ლარს ზევით შემოსავლის 17%
4. 601-დან და მეტი ლარი	89 ლარი + 600 ლარს ზევით შემოსავლის 20%

ბუღალტრულ შტატებში საშემოსავლო გადასახადების სარგოებს შორის დაწესებული ინტერვალების საერთო დიაპაზონი განთავსებულია 10-დან 35%-მდე, დიდ ბრიტანეთში – 0-დან 50%-მდე, საფრანგეთში – 0-დან 51%-მდე, გერმანიაში – 14-დან 45%-მდე, იაპონიაში – 5-დან – 40%-მდე, ჩინეთში – 5-დან 45%-მდე, იტალიაში – 23-დან 43%-მდე, ესპანეთში – 24-დან 43%-მდე, პორტუგალიაში – 0-დან 42%-მდე, დანიაში – 38-დან 59%-მდე, ნორვეგიაში – 28-დან 51%-მდე, ისრაელში – 10-დან 47%-მდე, ბელგიაში – 25-დან 50%-მდე, ნიდერლანდებში – 0-დან 52%-მდე, ავსტრიაში – 21-დან – 50%-მდე, ირლანდიაში – 20-დან 41%-მდე, სინგაპურში – 3,5-დან 20%-მდე, შვედეთში – 0-დან 56%-მდე და ა. შ. როგორც ვხედავთ, საშემოსავლო გადასახადის სარგოების შკალაში ყველაზე მაღალი ზედა ზღვარი აქვთ ნიდერლანდებს (52 %), შვედეთს (56 %) და დანიას (59 %), რაც ამ ქვეყნებს უქმნის კარგ შესაძლებლობებს მაქსიმალურად შესრულდეს გადასახადის მარეგულირებელი ფუნქცია ქვეყანაში შექმნილი დოვლათის გადანაწილების თვალსაზრისით. გამომდინარე აქედან აღნიშნულ ქვეყნებში მაღალია როგორც ეკონომიკური განვითარების დონე, ისე მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტი. აღსანიშნავია, რომ ზემოთაღნიშნულ ქვეყანათა უმრავლესობაში გათვალისწინებულია შეღავათები საშემოსავლო გადასახადებში. მაგალითად, გერმანიაში ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით იბეგრება იმ პირების საშემოსავლო გადასახადი, რომელთა წლიური შემოსავალი 8004 ევროზე ნაკლებია. 8000 ევროზე ნაკლები წლიური შემოსავლის მქონე ფიზიკური პირები ასევე იბეგრებიან ნულოვანი საშემოსავლო გადასახადით (ანუ არ იბეგრებიან) იტალიაში და ა. შ. ამჟამად პრო-

პორციული სახის საშემოსავლო გადასახადი მოქმედებს მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში. მაგალითად, 21 %-იანი ფიქსირებული საგადასახადო სარგო მოქმედებს ესტონეთში, 10 %-იანი სარგო – ბულგარეთში, 16 %-იანი სარგო – უნგრეთში და რუმინეთში, 26 %-იანი სარგო – ლატვიაში, 19%-იანი სარგო – სლოვაკეთში და ა. შ. სამაგიეროდ, ამ სახელმწიფოებში მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების სოციალური დაცვის მიზნით გათვალისწინებულია გარკვეული შეღავათები. მაგალითად, ესტონეთში შემოღებულია ნულოვანი პროცენტით დაბეგვრა (ანუ დაბეგვრიდან განთავისუფლება) იმ ფიზიკური პირებისა, რომელთა წლიური შემოსავალი 1728 ევროზე ნაკლებია და ა. შ. ასე რომ, უცხოელ სახელმწიფოთა უმრავლესობა ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას საგადასახადო სამართლიანობა და შეამსუბუქოს დაბალშემოსავლიანი ფიზიკური პირების საგადასახადო ტვირთი. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოში პროგრესული ხასიათისაა არა მარტო საშემოსავლო გადასახადი, არამედ სხვა დასახელების გადასახადებიც. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროგრესული ხასიათისაა კორპორაციათა შემოსავლის (მოგების) გადასახადი (იხ. ცხრილი 2).

როგორც ვხედავთ, ცხრილ 2-დან, აღნიშნული ბეგარა იანგარიშება შემდეგი საფეხურების მიხედვით. პირველი 50000 აშშ დოლარის მოცულობის საგადასახადო ბაზის (დასაბეგრი შემოსავლის) ფარგლებში გამოიყენება 15 %-იანი საგადასახადო განაკვეთი. კორპორაციის მომდევნო 25000 აშშ დოლარის მოცულობის დასაბეგრი შემოსავლის (50000-დან 75000 აშშ დოლარამდე მოცულობის) ფარგლებში გამოიყ-

ეკონომიკური თეორიის პრობლემები

ცხრილი 2.

აშშ-ის ფედერალური საგადასახადო სარგოები კორპორაციათა დასაბეგრ შემოსავალზე (მოგებაზე)

№№	დასაბეგრი შემოსავალი (აშშ დოლარი)	საგადასახადო განაკვეთები
1.	0-დან 50000-მდე	15 %
2.	50000-დან 75000-მდე	7500 + 25 % თანხაზე 50000-ის ზევით
3.	75000-დან 100000-მდე	13750 + 34 % თანხაზე 75000-ის ზევით
4.	100000-დან 335000-მდე	22250 + 39 % თანხაზე 100000-ის ზევით
5.	335000-დან 1000000-მდე	113900 + 34 % თანხაზე 335000-ის ზევით
6.	1000000-დან 1500000-მდე	3400000 + 35 % თანხაზე 1000000-ის ზევით
7.	1500000-დან 1833333-მდე	5150000 + 38 % თანხაზე 1500000-ის ზევით
8.	1833333-დან ზევით	35 %

ენება 25 %-იანი საგადასახადო განაკვეთი. კორპორაციის 75000-დან 100000-მდე აშშ დოლარის დასაბეგრი შემოსავლის მოცულობის ფარგლებში ვრცელდება 34 %-იანი საგადასახადო განაკვეთი. კორპორაციის 100000 აშშ დოლარის მოცულობის დასაბეგრი შემოსავლის ზევით 335000 აშშ დოლარამდე ფარგლებში კი ხორციელდება გადასახადების ამოღება მაქსიმალური 39 %-იანი საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, ამის შემდეგ მოგების პროგრესული გადასახადი იღებს რეგრესიულ ხასიათს და საგადასახადო ბაზის შემდგომ ზრდასთან ერთად გამოიყენება შემცირებული 34, 35 და 38%-იანი საგადასახადო სარგოები, ხოლო 1833333 აშშ დოლარის საგადასახადო ბაზის ზევით დასაბეგრი სარგო შეადგენს 35%-ს. ჩვენის აზრით, საგადასახადო ბაზის გარკვეული მოცულობის შემდეგ პროგრესულიდან მოგების რეგრესიულ გადასახადზე გადაყვანით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სურს მსხვილ მეწარმეებს გაუქმდეს სურვილი გამოიყენონ „კაპიტალის დაყოფის“ ილუზია, რომლის დროსაც მაღალი კონცენტრაციის დონის მქონე მსხვილ მასშტაბურ საწარმოს ყოფნა რამდენიმე დამოუკიდებელ მცირე საწარ-

მოდ საგადასახადო ბაზის შესამცირებლად და მაღალი საგადასახადო განაკვეთებისაგან თავის ასარიდებლად. ამგვარად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციათა დასაბეგრი შემოსავლის საგადასახადო განაკვეთის მინიმალური სიდიდე შეადგენს 15 %-ს, ხოლო მაქსიმალური სიდიდე კი აღწევს 39 %-ს. ასეთი საგადასახადო სისტემა შედარებით შეღავათიან პირობებში აყენებს მცირე და საშუალო ბიზნესს, რაც ხელს უწყობს მათ განვითარება-გავრცელებას. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონეზე კი დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა, მოსახლეობის უზრუნველყოფა ფართო ნომენკლატურის საჭირო პროდუქციითა და მომსახურებით, ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და ცხოვრების დონის ამაღლება. საქართველოს საგადასახადო სისტემისა და საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოსათვის, რმელიც ფაქტობრივად წარმოადგენს განვითარებად ქვეყანას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დიდი ხვედრითი წონით, მიზანშეწონილია პროგრესული ხასიათის გადასახადების ფართოდ გამოყენება და ამ სფეროში მაღალგანვი-

თარებული, ცივილიზებული სახელმწიფოების მდიდარი გამოცდილების გათვალისწინება. გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა დაისახოს მკვეთრად გამოხატული პროსამეწარმეო პოლიტიკის გატარება პროსაიმპორტო პოლიტიკის ნაცვლად და პირველ რიგში. საექსპორტო და იმპორტშემცველი პროდუქციის მწარმოებელი

ბელი საწარმოებისა და აგროსამრეწველო კომპლექსების სწრაფად ამოქმედება და განვითარება. ეს საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს პირდაპირი გადასახადების მოცულობა და თანდათანობით გამოსწორდეს გადასახადების საერთო მოცულობაში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილებს შორის დღეს არსებული სამარცხვინო თანაფარდობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. შპს „პოლიგრაფისტი“, თბილისი, 1997წ.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, გამომცემლობა *RISE*, 2005წ.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2010 წლის 17 სექტემბერი.
4. ლალო ჭანტურია, თედო ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. (მესამე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002წ.
5. რ. ოთინაშვილი. საქართველოს ეკონომიკა. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2010წ.
6. Жилцов Е. Экономика общественного сектора и некоммерческих организаций. М., изд. «Прогресс», 1999.
7. В. А. Кашин. Налоговая «справедливость». Москва, Издательство политической литературы. 1986.

TAXATION SYSTEM OF GEORGIA AND MAIN DIRECTIONS OF ITS IMPROVEMENT

TAMAZ BAKRADZE
Full professor of GTU

Contemporary taxation system of Georgia is not adequate to the real existent social-economical situation of the country. It actually doesn't carry out fiscal, economic and regulative functions of the taxes. There are violated justice, efficiency, political responsibility and other main principles of the taxes. The taxation code is adapted to the interests of the scanty, not numerous, rich, elite part of population and large-scale monopolistic business and is ignored requirements of the numerous poor population with little incomes and small and middle business. The objective argument of injustice, inefficiency and backwardness of the Georgian taxation system is relationship between direct and indirect taxes, in particular, the volume of direct taxes is approximately twice less than the volume of indirect taxes. While in the foremost, civilized countries direct taxes are three or four times larger than indirect taxes. For instance, relationship between volumes of direct and indirect taxes in the USA is 1,7; in the Switzerland is 2; in the Sweden is 1,4 and so on. It is infringement of justice's principle, when all taxes of the country are proportional and everybody pay the same fixed rate of tax. Therefore burden of tax of poor population became more heavy and got complicated fulfillment of regulative function of taxes. In the scientific work is based, that changes introduced in the taxation code in 2004, 2008 and 2010 years, were thoughtless and backward steps. In conclusion there are given the suggestions to improve taxation system of Georgia.